

# ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №9  
2018 წლის 17 იანვარი

## ქ.ლაგოდეხი

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ.ვ“, „დ.დ“ და „დ.ე“ ქვეპუნქტების, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი თავის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის, მე-8 მუხლის მე-2, პუნქტის, 34-ე მუხლის პირველი პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

### მუხლი 1

დამტკიცდეს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა თანამდებობრივი სარგოები დანართი №1-ის შესაბამისად.

### მუხლი 2

დამტკიცდეს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოები დანართი №2 შესაბამისად.

### მუხლი 3

ამ დადგენილების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს:

ა) „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიისა და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრის შესახებ“ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის №54 დადგენილება ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge) 01/01/2018, 010250050.35.167.016345);

ბ) „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის №56 დადგენილება ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge) 28/12/2017, 010250050.35.167.016347).

### მუხლი 4

ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2018 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე

კარლო ჯამბურია

დანართი №1

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა თანამდებობრივი სარგოები

№	თანამდებობათა დასახელება	თანამდებობრივი სარგოს ოდენობა
1	საკრებულოს თავმჯდომარე	4961 ლარი



2	საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე	3751 ლარი
3	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	3267 ლარი
4	საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე	2662 ლარი
5	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე	2420 ლარი
6	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	1936 ლარი

ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის დადგენილება №15 - ვებგვერდი, 06.12.2021 წ.  
 ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 21 დეკემბრის დადგენილება №26 - ვებგვერდი, 22.12.2021 წ.  
 ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 27 დეკემბრის დადგენილება №29 - ვებგვერდი, 28.12.2022 წ.

დანართი №2

### ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოები

მომხელის № თანამდებობათა რანგები	თანამდებობის დასახელება	რიცხოვნობა	თანამდებობრივი სარგოს ოდენობა
1 I რანგი	აპარატის უფროსი-საჯარო დაწესებულების პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	1	2783 ლარი
ადმინისტრაციული განყოფილება			
2 II რანგი	ადმინისტრაციული განყოფილების უფროსი – საჯარო დაწესებულების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	1	1936 ლარი
3 III რანგი	მოქალაქეთა მომსახურების, საქმისწარმოებისა და საკანცელარიო საკითხების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1	1331 ლარი
4 III რანგი	რეფერენტი-მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1	1210 ლარი
საორგანიზაციო განყოფილება			
5 II რანგი	საორგანიზაციო განყოფილების უფროსი – საჯარო დაწესებულების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	1	1936 ლარი
6 III რანგი	საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საორგანიზაციო საკითხების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1	1331 ლარი
7 III რანგი	ადამიანური რესურსების მართვის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1	1331 ლარი.



ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 თებერვლის დადგენილება №19 - ვებგვერდი, 19.02.2018 წ.  
ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის დადგენილება №80 - ვებგვერდი, 04.01.2019 წ.  
ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 7 თებერვლის დადგენილება №7 - ვებგვერდი, 11.02.2020 წ.  
ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 21 დეკემბრის დადგენილება №26 - ვებგვერდი, 22.12.2021 წ.  
ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 3 ივნისის დადგენილება №5 - ვებგვერდი, 06.06.2022 წ.  
ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 27 დეკემბრის დადგენილება №29 - ვებგვერდი, 28.12.2022 წ.  
ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 18 იანვრის დადგენილება №4 - ვებგვერდი, 20.01.2023 წ.  
ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 6 მარტის დადგენილება №8 - ვებგვერდი, 07.03.2023 წ.

